



ყვარლი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

14 მაისი წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი ხსენების დღეა



„მზისა, ვარდისა, სიცოცხლისა და შევების თვეა მაისი. ამ თვესთან დაუკავშირებია ქართულ ეკლესიას ჩვენი სიქადულის და დიდების – თამარ მეფის ხსენება“ (ეპისკოპოსი ლეონიდე).

თამარის მეფობის ხანას საქართველოს ისტორიაში ოქროს ხანის ზენიტს უწოდებენ. იგი ღირსეული გამგებელი-ბედი აღმოჩნდა დიდი პაპის, დავით მე-4 აღმაშენებლის.

1166 წელს მეფე გიორგი III და მის მეუღლე ბურდუხანს ქალიშვილი – თამარი შეეძინათ. გიორგი მეფემ თავისავე სიცოცხლეში იგი მეფედ გამოაცხადა. დიდებულებმა ფიცი დასდეს და მუხლი მოიყარეს 12 წლის მონარქის წინაშე, რომლისთვისაც განგებას ებოძებინა მძიმე ჯვარი ერის წინამძღოლობისა.

მამა-შვილი ხუთი წლის მანძილზე განაგებდა სამეფოს. 1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოს ერთადერთ მმართველად და პატრონად 18 წლის თამარი იქცა. ქვეყანაშიც ერთგულად და სიყვარულით მიიღო „მზე მზეთა და ნათელი ნათელთა“. სახელმწიფოს კარის გარეგნული დაცვით ღირსმა და მადლმოსილმა მეუღლემ, ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონ საღირის ძემ და რაჭისა და თაკურის ერისთავმა კახაბერ კახაბერის ძემ სამეფო გვირგვინი დაადგეს, ვარდანიძეებმა, საღირისძეებმა და ამახელისძეებმა კი ხმალი შემოარტყეს წელზე. განიხარა სრულიად საქართველომ. „ჰქრეს ბუკთა, ქოსთა და წინილთა და

იყო ზარი და ზაპში ქალაქსა შინა, სიხარული, შუება და იმედი უიმედოქმნილთა“. დანიყო დიდებით და გამორჯვებით, აღმშენებლობით და მოღვაწეობით, უძილო ღამეებით და ცრემლიანი ლოცვებით აღსავსე გზა მონარქთა შორის გამოირჩეულის, „მზეთა მზის და დედოფალთა დედოფლის, შარავანდელთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული“ თამარის მეფობისა.

ხელისუფლების სათავეში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით აღიწინა: მონღია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებულ მღვდელმთავართა და მამათა სიმრავლეს მან ბრწყინვალე სიტყვით მდაბლად მიმართა. მეფის თანადგომით გამხსენებულმა კრებამ უღირსი ეპისკოპოსები გადააყენა, მათ ნაცვლად „საღმრთონი კაცნი დაადგინა“ და „სხუანი საეკლესიონი წესნი განმართნეს უდებთა მიერ დახსნილნი“.

კეთილ ნაყოფში ღვარძლი გაერია. სწორედ თამარის კურთხევის წელს, მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა, რომელიც ამირსპასალარობას მიეღწეოდა, ისანში კარვის დადგმა მოიხიზოვა, სადაც, მისი გეგმით, ყველა საშინაო და საგარეო საქმე უნდა განხილულიყო და შედეგი მეფისათვის ეცნობებინა. ისინი კარავს ხელში უნდა აეღო მეფის ძირითადი უფლებები. ამით არა მარტო სამეფო ტახტი შესუსტდებოდა, არამედ ქვეყნის ერთიანობასაც საფრთხე დემუქდებოდა.

თამარის ბრძანებით ყუთლუ-არსლანი შეიპყრეს, მაგრამ მისმა თანამოაზრეებმა იარაღით ხელში მოითხოვეს მისი გათავისუფლება. ქვეყანა ძმათა შორის ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მეფემ ყველაზე კეთილშობილურ ხერხს მიმართა: შეთქმულთა ბანაკში გაგზავნა ორი წარჩინებული და პატივდებული მანდილოსანი ხუმაქი ცოქალი, დედა ქართლის ერისთავის რაჭისა და კრაჯი ჯაყელი. პატიოსანთა დედათა მოციქულობამ ისე იმოქმედა შეამბოხებზე, რომ „მოჰყვეს ბრძანებასა პატიოსნისასა და წინაშე მოსრულთა დავრომით თაყუანის-სცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნებისყოფელობისა მათისა“.

ქვეყანამ იგრძნო მეფის ძლიერი ხელი. თამარმა სახელმწიფო თანამდებობაზე თავისი მომხრეები დანიშნა.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“

2 მაისს, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი იმყოფებოდა ქ. თელავში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის დარბაზში შეხვედრაზე – „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“. ეს არის ევროკავშირის ახალი ინიციატივა და ხორციელდება აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობის ფარგლებში.

ევროკავშირის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ უმთავრესი მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ნეკრ ქვეყნებში ადგილობრივი ხელისუფლება გახდეს ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობი მოცემული რეგიონში და შექმნას შესაძლებლობა ეკონომიკური, კულტურული და სოციალური თანამონაწილეობის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

აღნიშნულ შეხვედრაზე საზოგადოების სიტყვით მიმართეს კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა – გუბერნატორმა – ირაკლი ქადაგიშვილმა, პროექტის ხელმძღვანელმა – პიტერ რ.



კორსბიმ და ამავე პროექტის კოორდინატორმა საქართველოსა და აზერბაიჯანში – ზვიად არჩუაძემ. მიმართვის დროს აქცენტები გააკეთეს მუნიციპალიტეტ-

ბის განვითარების ახალ ეტაპზე და ყველა იმ სიკეთეზე, რასაც ევროკავშირის პროგრამების განხორციელება მოუტანს თითოეულ მუნიციპალიტეტს.




ამავე დღეს, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი, პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმომადგენლებთან ერთად ეწვია ყვარლში არსებულ ხილის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიას და მეცხოველეობის ფერმას „ყვარლის ბაგას“. ევროკავშირის ინიციატივიდან გამომდინარე, პროექტის წარმომადგენლებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ამ საწარმოების ნახვა და მათ მაგალითზე დაიგეგმა ანალოგიური და სხვა საქმიანობის განვითარებით მუნიციპალიტეტში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

წმიდა ილია მართლის ეპო-კარის „მოურავი“

საიუბილეო საღამოებზე, შეხვედრებზე თუ სხვა ღონისძიებებზე ტრიბუნაზე იდგა გულმართალი კაცი, ლექსითა თუ სიტყვით ამბობდა თავის სათქმელს. მისი ფიქრი და აზრი გადაჯაჭვლი იყო ერისა და მამულის სიყვარულთან.

უმისოდ არაფერი ეგებოდა ყვარლის რაიონში, აზრსა და რჩევას ხშირად



ეკითხებოდნენ, მის სიტყვას დიდი ნონა და ფასი ჰქონდა. ეს გახლდათ ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი, გულმშურვალე მამულშივილი – ილი ბეროშვილი, რომელმაც თავისი ცხოვრების ბოლო 30 წელიწადი ღირსეულად ატარა ის მძიმე და საპატიო ჯვარი, რომელსაც წმიდა ილია მართლის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორობა ჰქვია. თვითონაც ილიამ, თავმდაბლობის გამო, ილი დარქვა და თავის თავს, ხან ილიას ეპო-კარის „მოურავს“ ეძახდა, და ხანაც – „ჩრდილში მყოფ ვინმე მეველეს“. დამხოხილი იყო ამ კრძალვით სახსენებელ წმიდა მინაზე, როგორც ქადაგი და მის ლოცვასა და მოვლა-პატრონობაში გალია დარჩენილი დღენი. საკუთარი მოღვაწეობა წმიდა ილია მართლის მუზეუმში შთამბეჭდავად აქვს აღწერილი ბატონ ილოს ლექსში „აღსარება“:

დამხოხილი ვარ შენს წინაშე,
როგორც ქადაგი,
ნაკენარ მინის ლოცვაში
ვლევ დარჩენილ დღეებს.
მეც მტკივა გული ლელთ
ლუნის ბოღმით ნადალი
და ჩემი ცრემლიც თერგის
ზვირთთან აწყდება კლდეებს.

გაგრძელება მე-3 გვ. -ზე

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიასში საკადრო ცვლილებები განხორციელდა

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიასში, ყოველკვირეულ შეხვედრაზე, საჯარო და ა(ა)იპ სამსახურების წარმომადგენლებს მერმა, როსტომ სესიაშვილმა წარუდგინა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების ახალი ხელმძღვანელები და ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი – მაია ავაზაშვილი
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი – ვალერი გოქსაძე
იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი – დავით ელოშვილი

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, ძეგლთა დაცვის, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი – გიორგი ლურსმანაშვილი
მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი – გივი ჩახნაშვილი

ქ. ყვარლის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი – ზურაბ ნემსაძე

ს. გაგაზის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი – ავთანდილ ცუკოშვილი

ს. ახალსოფლის ადმინისტრაციული



ერთეულის წარმომადგენელი – მალხაზ მარტიაშვილი
ს. კუჭატაძის, წინკანანისერისა და სანავარდოს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი – მაია მედიოძე;

ს. ბალოჯიანის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი – შოთა იოზაშვილი;
გვეჯრა, თითოეული მათგანი წარმატებით გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

9 მაისი – დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღე



ლონისძეებმა გაგრძელდა კონცერტით, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ფოლკლორული ანსამბლი „ხეურო“ (ხელმძღვანელი ირაკლი მათიკაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლი „ყვარელი“ და სხვა. დამსწრე საზოგადოებას ასევე მიულოცა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელმა იზოლდა იოსებთან და ნაიკითხა ომის თემაზე შექმნილი ლექსები. შთამბეჭდავი იყო, როგორც ყოველთვის პატარა დათუნა ჭუნაშვილის მიერ ნაკითხული, მირზა გელოვანის ლექსი „ნუ მწერ“.

სამწუხაროდ, ლონისძეებს წელს პირველად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ ესწრებოდნენ ჩვენი ვებ-ერანები. მათ, პირადად მუნიციპალიტეტის მერმა მთელი მთელი ეს დღე, ჯანმრთელობა უსურვა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ია გიგიაშვილი

დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღე 9 მაისი ისევე როგორც საქართველოს ყველა რეგიონში, ყვარელშიც აღინიშნა. მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა როსტომ სესიაშვილმა და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და 9 აპრილის სახელობის პარკში შეკრებილებს ფაშისზე გამარჯვების 73-ე წლისთავი მიულოცეს.



სიტყვით გამოსვლის დროს ბატონმა როსტომ სესიაშვილმა აღნიშნა – „9 მაისს, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღეს განსაკუთრებით ვულოცავ ჩვენს ვეტერანებს. ამ ადამიანების თავგანწირვით 9 მაისი ფაშისზე გამარჯვების დღედ იქცა. ჩვენი ვალა განსაკუთრებით ვიზრუნოთ მათზე და ყველა პირობა შევუქმნათ ღირსეული და დაფასებული ცხოვრებისათვის.“



„ილიას ტბაზე“ ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი ნარმატაბით დაბთავრდა

მოახლოვდა ტურისტული სეზონი და ილიას ტბაზე დანიშნული ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი. იმისათვის რომ დამსვენებელს დახვდეს გაუმჯობესებული და კომფორტზე მორგებული გარემო, შეკეთდა საქანელები, შეიღება სკამები, განახლდა სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცე.



ზურაბ იაკობიშვილი ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა



ვის დაუთმობს და გულშემატიკრებს კვლავაც გავგახარებს.

ალექსანდრე

„დაახლოებით 270 სახეობის მცენარე ალაგაზებს ჩემს ბაღს“... – მშენებელი ბაღი ჭიკაბაძე

ნანა დათუნაშვილი დიასახლისია. პროფესიით ბიბლიოთეკარი გახლავთ. ყვავილები ბავშვობიდან უყვარდა და ადრეული ასაკიდან დაიწყო საკუთარი ჩანაფერის განხორციელება – ლამაზი და ფერად-ფერადი ყვავილების შეგროვება, გახარება. ქალბატონ ნანას დღეს სოფელ ჭიკაბაძეში ულამაზესი ბაღი აქვს გაშენებული, სადაც 260 სახეობის მცენარეა თავმოყრილი. მისი თქმით, ამდენი მცენარის შეგროვება ადვილი არ იყო, თუმცა ყვავილების სიყვარულმა ეს შეაძლებინა.

– დაახლოებით 270 სახეობის მცენარე ალაგაზებს ჩემს ბაღს. მაქვს როგორც ეზოს მცენარეები, ისე ქოთნის ყვავილები. – ქოთნის მცენარეებს ზამთარში როგორ ინახავთ? ყინვებს როგორ ებრძვით? – თითქმის ოქტომბრის ბოლომდე გარეთ მაქვს. სპეციალური სათბურის არ მაქვს, რის გამოც ძალიან მიჭირს და ზამთარში ზოგი სახეობა მიფუჭდება. შემდეგ ადრე გაზაფხულზე ისევ ახლიდან ვიწყებ მათ გახარებას. სახლში სპეციალურად მაქვს გამოყოფილი ოთახი, სადაც ჩემი მცენარეები ზამთარში ვინახავ.

– არ ვარ არც ბიოლოგი და არც ფლორისტი, ერთი დიდი ოჯახის დიასახლისი ვარ, პროფესიით ბიბლიოთეკარი გახლავარ. ბავშვობიდან ძალიან მიყვარს ბუნება. ყვავილების მიმართ ინტერესი სულ მჭირდა. მცენარეები მამბედნიერებს, ვერგით მაგებს, მახალისებს მათთან ურთიერთობა, რაღაც სხვა ემოციას იწვევენ ჩემში. როდესაც რაღაც მენყინება, ან უხასიათოდ ვარ, პირველი რასაც ვაკეთებ, ეს არის ყვავილებთან ურთიერთობა. ზოგს ფოთოლს გავუსწორებ, ზოგს ადვილს შევუცვლი და ა.შ.

– ამ ყველაფერს მარტო ართმევთ თვის, თუ ოჯახის წევრებსაც გეხმარებათ? – ამ ბოლო დროს სუკულენტებით და ვინტერესდები. უკვე მაქვს 15 სახეობა. რა თქმა უნდა, არ არის ადვილი ამდენი ყვავილის მოვლა. ამ ყველაფერში მეხმარება ჩემი მეუღლე, თენგიზ დათუნაშვილი, მასაც ძალიან შევყვარე მცენარეები, ყვავილები.

ჩემი ბაღი ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაბაძეში მდებარეობს. ტერიტორიულად ძალიან ცხელი ადგილია, ძლივს ვახერხებ მცენარეების მზისგან დაცვას. თავიდან პატარა ოთახის მოყვავილე მცენარეებით დავიწყე, ახლა უკვე უამრავი მცენარე მაქვს: მონსტერები, ფიკუსები, არმები და ა.შ. მინდა ყველა ჩამოვთვალო, მაგრამ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს. რაც მცენარეებს უკავშირდება, ყოველთვის ყველაფერს დიდი სიყვარულით ვაკეთებ და ეს ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

– როგორ კვებავთ მცენარეებს? – უპირატესობას ბუნებრივ საკვებს ვანიჭებ. როდესაც მცენარე ახალ ნაზარებს (გვერდებიდან ამოწყალი) წამოილეს, ვასხამ ბუნებრივ საკვებს, რომელსაც კახეთში „წუნწუხი“ ქვია. ამას ვაყენებ ორი კვირით ადრე, შემდეგ ვაზავენ წყალში და ვუსხამ ძირებში.

– რა ეტაპები გაიარეთ? რთული იყო გზა სანამ აქამდე მოვიდოდა და ამ სახეს მიიღებდა თქვენი ბაღი? – ძალიან დიდი შრომა ჩავედე ამ ეტაპამდე, რომ მივსულიყავი. ერთი შეხედვით შეიძლება იფიქროთ, რომ მარტივია, მაგრამ დამიჯერეთ ამდენი მცენარის მოვლა, გაუმუშავებ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ჩემი დილა ყვავილებთან ურთიერთობით იწყება. ადრე ვიღვიძებ და პირველი რასაც ვაკეთებ ყვავილების მორწყვაა. ჩემს ყვავილებს ძალიან უყვარს წვიმის წყლით მორწყვა. ზოგს ძირში ვუსხამ წყალს, ზოგს მაღლიდან და ა.შ.

– რამდენი სახეობის მცენარეა თავმოყრილი თქვენს ბაღში? – რამდენიმე. – რა ურჩევთ დამწყებ მებაღეებს? – დამწყებ მებაღეებს პირველ რიგში ყვავილების სიყვარული უნდა ჰქონდეთ. მცენარეებთან ურთიერთობა დიდ შრომასთან და მოთმინებასთან არის დაკავშირებული. არ დაიზარონ ძალისხმევა, ენერჯია, იქონიონ მოთმინება და აუცილებლად ექნებათ ლამაზი ბაღი.

– ნიადაგს რა დროს და რამდენ ხანში ერთხელ უცვლით? – ნიადაგის გამოცვლას გაზაფხულზე ვიწყებ. თითქმის ყველას ვუცვლი მინას. ერთმანეთში ვურევ საქონლის გადამწვარ ნაკვებს და მდინარის ქვიშას, ტორფს არ ვხმარებ.

– რამდენი სახეობის მცენარეა თავმოყრილი თქვენს ბაღში? – რამდენიმე.

მერი გლინიძე



გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აკებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრა გიგიაშვილი
მონადირე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარალი, კუდიბორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86